№ 177
ავგისტოს 21, ოთხშაბათი 1902 წ.
1877

ივერია

№ 177
ავგისტოს 21, ოთხშაბათი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთი „ივერია“

გადავიდა საკუთრებად „ივერიის“ ამხანაგობის ხელში

ამხანაგობამ უფლება ამ გაზეთის გამოცემისა შეიძინა ნოტარიუსის წესით დამტკიცებულ ხელ-შეკრულობით 6 აპრილს 1902 წ.

ამხანაგობაში მონაწილეობას იღებენ: თ. ამირეჯიბი, როსებ თადეოზის-ძე, დოქტორი ვაწაძე, სპირიდონ იოსების-ძე, დოქტორი გაბაშვილი, დიმიტრი გრიგოლის-ძე, ლოლობერიძე, ნიკოლოოზ ბესარიონის-ძე, გოგებაშვილი იაკობ სვიმონის-ძე, გძელიშვილი გიორგი ივანეს-ძე, გუნცაძე ირაკლი ალექსანდრეს-ძე, თ. დიასამიძე, გრიგოლ ნიკოლოოზის-ძე, ჯაბადარი, ივანე სპირიდონის ძე, მესხი, კონსტანტინე დავითის-ძე, მიქაბერიძე, ალექსანდრე ნიკოლოოზის-ძე, სარაჯიშვილი, ალექსანდრე ივანეს-ძე, დოქტორი ჩიქოვანი, ყარამან მანუჩარის-ძე და ყიფშიძე, გრიგოლ თეოდორეს-ძე.

ამხანაგობის თანხა განსაზღვრულია 15,000 მან., განყოფილი 1,500 პაით, 10 მან. თითო პაი.

ვისაც სურს შეიძინოს პაი, კეთილ-ინებოს და მიჰმართოს „ივერიის“ რედაქციას, რომელიც იმყოფება სასახლის ქუჩაზედ, თავად აზნაურობის ქარვასლაში, №№ 117 და 118.

ამხანაგობის საზოგადო კრებაზედ ხმა აქვს მხოლოდ იმას, ვინც შეიძენს არა ნაკლებ ათის პაისა.

რედაქციაში შეიძლება მსურველმა მიიღოს ეგზემპლიარი ხელ-შეკრულობისა.

ВЪ МАГАЗИНѢ

П. С. ДОРОЖНОВА

Сололакская улица, домъ Гургенова

☞ НАЗНАЧЕНА ☜

съ 19-го Августа на ШЕСТЬ ДНЕЙ, т. е. 19, 20, 21, 22, 23 и 24-го Августа ежедневно назначаемая обычная

РАСПРОДАЖА на ОСТАТКИ

которыхъ поступитъ на распродажу до 40,000 остатковъ. По случаю громадной обширности магазина, остатки сгруппированы для распродажи изъ всѣхъ другихъ отдѣленій фирмы

Скидка противъ прошлыхъ лѣтъ значительно увеличена:

Скинуто отъ 30 до 60% съ рубля.

Обращаемъ вниманіе на поразительную дешевизну цѣнъ.

Полотно для бѣлья чисто-льняное отъ 16 к. ар. | Мадаполламъ крученый отъ 8 коп. арш.
Полотно полосатое для полотенецъ 6½ к. арш. | Простыни 1/сп. отъ 65 коп. за штуку.

Саратовская сарпинка отъ 7 к. арш. Блузки дамскія цвѣтныя со скидкой 60% съ руб.
Масса товаровъ поступитъ для распродажи.

Въ дни распродажи, магазинъ будетъ открытъ съ 9 час. утра до 2-хъ час. дня и съ 5 до 8 час. вечера.

Примѣчаніе. Продажа исключительно только за наличныя деньги.

ფინანსთა სამინისტროს გამგებლობაში მყოფი

საბუღალტერო კურსები

ნ. ვ. აბრაამიანისა

(იხილე მე-4 გვერდზედ) (25—379—22)

ს.-პეტერბურგის კომპანია

„ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ღმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა . . . . 1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა . . . . 2 664,808 მან.

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 საგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, ციმბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩაბარებას ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის ხარჯზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, საცა ბარგი და საქონელი უნდა იქმნას ჩაბარებული და სხ.).

შენახვა საქონლისა შეღავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონნი ჩაჰბარდებოდნენ და დაზღვევა მისი საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნავოსნობა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში სავალი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრეთვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავდიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (ციმბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

საქონლის გადასაზიდად იქ, საცა პირდაპირ მიდის მატარებელი, კომპანიის ნავოსნობას მორიგება აქვს დადებული რკინის გზებთან იმ საქონლის შესახებ, რომელიც რუსეთიდგან იგზავნება სპარსეთს ან სპარსეთიდგან რუსეთს. კომპანიას ცალკე, განსაკუთრებულ უპირატესობაზედ დამყარებული ხელ-შეკრულობა აქვს დადებული სპარსეთის საზღვაო და სატრანსპორტო საზოგადოებასთან.

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით.

ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის საგენტონი ყველგან. სატრანსპორტო საგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის საგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის „ნადეჟდას“-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

[illegible] და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის საგენტო სასახლის ქუჩაზეა, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში. ტელეფონი № 108. (120—6.—16)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე.

კვირა-უქმე დღეებში 10—1-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38. (წლ.)

ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, № 30.

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. წლ.

ტფილისში ქართულ სახალხო წარმოდგენების გამმართველ სექციის მონდობილობით უმორჩილესადა ვთხოვ ქართველ საზოგადოებას სახალხო თეატრს დახმარება აღმოუჩინოს ფულით, სცენაზე მოღვაწეობით და ტანისამოსის შემოწირვით. რა დიდი მნიშვნელობაცა აქვს სახალხო თეატრს ერის თვით-ცნობიერებისათვის, ეს ყველას კარგათ მოეხსენება და ამიტომ სიტყვას აღარ გავაგრძელებ, საჭიროა მხოლოდ ხელი შევუწყოთ ამ დიად საქმის კეთილად მოწყობასა და, რადგანაც ქართული სახალხო თეატრი ქონებრივად ძრიელ ხელ-მოკლეა, ნაკლებათა ჰყავს სცენაზე მოთამაშე ქალები და გარდერობიც თითქმის ცალიერი აქვს, ვიმედოვნებთ, რომ ქართველი საზოგადოება და მშრომელი ხალხის თანაგრძნობნი თავისს წვლილს არ დაიშურებენ და ამ ჩვენ მოწოდებას უყურადღებოთ არ დასტოვებენ. ვინც სეთილ ინებებს სცენაზე მონაწილეობის მიღებას და ან მოისურვებს წვლილის გამოღებას, (ფულით იქნება, თუ ტანისამოსით), ვთხოვთ მოგვმართონ შემდეგის ადრესით: ავჭალის ქუჩა. № 72, ბინა მ. ი. დემურიასი.

სახალხო წარმოდგენები დაიწყება პირველ სექტემბრიდან და, ვისაც სახალხო სცენაზე მოღვაწეობა ჰსურს, ვთხოვთ წერილობით შეგვატყობინონ და, გამოცხადდენ სახალხო აუდიტორიაში (ავჭალის ქუჩა) აგვისტოს 20-ს, საღამოს 7 საათზე.

გვარი და სახელი სცენაზე მოღვაწეთა და ყოველივე შემოწირულება ეუწყება ქართველ საზოგადოებას გაზეთის საშუალებით.

სექციის მდივანი ი. ცინცაძე.

(3—მ—3)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

გ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

კ. ი. გძელიშვილი. 6—7 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფთათვის კროვატები

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ვ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

ბრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

ვ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

მ. ი. იანჩევსკი—ყურისა, ყელისა და ცხვირის, 5—6. კვირაობით დილის 12—1 საათამდე.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

კვირაობით:

ვ. ზ. მაღალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავდმყოფობათა. (წ.)

ტფილისი

◆ ყოვლად-სამღვდელო კირიონს დაუმზადებია დასაბეჭდად მონოგრაფია ისტორიის შინაარსისა. ახალი მონოგრაფია შეეხება საეკლესიო მამულებს ძველს საქართველოში და სათაურად აწერია **Харистикарная система и ея вліяніе на церковно-поземельныя отношенія въ древней Грузіи.** ეს მონოგრაფია, როგორც გადმოგვცეს, დაიბეჭდება ბ-ნ ბ. ს. ესაძის მიერ განზრახულს გამოცემაში, რომელსაც სახელად ეწოდება **„Весь Кавказъ“.**

◆ მახათას მთის ერთი მწვერვალთაგანი ათი დესატინა მიდამოთი თ-დის ბებუთაშვილებისაგან უყიდია ტფილისის ერთს მემამულეს ბ-ნს კ. ა. ხოლზოვს, რომელსაც დაუყვია 150 პატარა-პატრა ნაჭრებად ეს თვისი მამული და ჰყიდის საჟენს 20—50 კაპ., ვიდრე 5 მანეთამდე. მუშტარი ბევრი აწყდება თურმე, მეტადრე ქართველობა და რუსნი, რადგანაც ბ-ნს ხოლზოვს გადაუწყვეტია და სათანადო ლოცვა-კურთხევა მიუღია კიდეც იმ ძველის ეკლესიების ნანგრევების აღსადგენად, რომელიც განვლილ საუკუნოებში ყოფილა აგებული ზედ მთის წვერზე. ეკლესია წმ. ელიას სახელზე იყო აგებული და დღემდის მხოლოდ მიწიდან ორის ადლის სიმაღლე ნანგრევი-და დარჩენილა. ნანგრევებში ბ-ნს ხოლზოვს უპოვნია პატრა ჯვარი ხუცურის წარწერით. მთელს ხარჯს, რაც დასჭირდება ეკლესიის აღდგენას, ბ-ნი ხოლზოვი თვად კისრულობს.

◆ ამ რამდენისამე დღის წინად სოფ. უჯარმაში (გარეთ კახეთი) ერთი უბედურება დატრიალებულა: ვენახში, კაკლის ქვეშ, თონე ხურდებოდა და თორნისავე პირს იდგა ოცის წლის ქალი, რომელსაც წლი-ნახევრის ვაჟიშვილი ხელში ეჭირა; ამ დროს დაიჭექა თურმე, დაეცა მეხი თონის პირად მდგომს ქალს და იქვე მოჰკლა. ბავშვი საათ-ნახევარი დაბნედილი ეგდო და ძლივ-ძლივობით გადაარჩინეს სიკვდილს.

◆ 18 ამ თვეს ტფილისიდგან პეტერბურგში გაემგზავრა შინაგან საქმეთა სამინისტროს სამრეწველო სასწავლებლების ინსპექტორი, ბ.-ნი ვ. ვ. კორვატოვსკი.

◆ გუშინ, თელავის ქალაქის თავმა ბ.-ნმა თათუზოვმა, ქალაქის გამგეობაში მიიღო ყველა ცნობა, რაც შეეხება ხორცის დუქნების გამართვას და ქალაქის პურის საცხობის მოწყობას. ბ-ნ თათუზოვს უკვე დაუკვეთნია ერთი პარტია ფქვილისა, თელავში მომავალ ქალაქის პურის საცხობისათვის.

◆ ამ ბოლოს დროს ქალაქის ლომბარდს ერთობ დიდი ფული გაუცია დაგირავებულ ნივთებზედ, ისე რომ შესაძლოა ამის შემდეგ ბევრს ეთქვას უარი; ამის თაობაზედ ლომბარდის გამგეს მიუმართნია გამგეობისათვის, და სთხოვს გადასდეთ საჭირო თანხა ლომბარდისათვისაო.

◆ ტფილისის პოლიცმეისტერს დაუვალებია ბოქაულებისათვის რათა მათ გამოუცხადონ ხელ მეორედ ქალაქ გარედგან მოსულ ხელოსან ებრაელებს, რომ მათ ნება არა აქვთ სახელოსნოსთან მაღაზიაში სხვა ნაწარმოები გაჰყიდონ, იმის გარდა, რაც თითონ არ გამოუვათ ხელიდამ; ამასთანავე პოლიცმეისტერს მიუცია ერთის თვის ვადა ამისთანა ებრაელთავის და თუ ვინიცობაა ამ ვადაზედ არ აღასრულეს ეს განკარგულება, მაშინ ყველა ნივთი იმათ მაღაზიაში დაიბეჭდება სახელმწიფო ბეჭდით.

◆ ხუთშაბათს 22 ამ თვეს ქალაქის გამგეობაში მიიღება გამოსაცვლელად დროებითი კვიტანციები ქალაქის მე-III სესხის ახალის ბარათებისა.

◆ ტფილისიდგან მომავალ წელს ჯარის კაცად უნდა გავიდეს 176 კაცი. როგორც ქალაქის გამგეობის მიერ შედგენილ სიებიდგანა სჩანს, კენჭი უნდა იყაროს 650 კაცმა.

◆ გუბერნატორის მიწერილობისამებრ, ქალაქის გამგეობამ დაიქირავა ბაქოელ ვაჭრის ნაბათოვის სახლი ცეცხლის მქრობ რაზმისთვის. სახლი ერთის წლის ვადით არის დაქირავებული, 1 სექტემბრიდგან 1903 წლის 1 სექტემბრამდე. ქირა 1,500 მან. ქალაქმა უნდა გარდაიხადოს ორის ვადით, ნახევარ-ნახევარ წლის განმავლობაში.

◆ მე-2 განყოფილების ბოქაულმა მიჰმართა ქალაქის გამგეობას და სთხოვა, გთხოვთ გოლოვინის პროსპექტზედ, კირაკოზოვის სახლის წინ, დააგოთ ქვაფენილიო.

◆ ქალაქის გამგეობამ დაავალა თავის ბეითალს დაეთვალიერებინა ავლაბარში მდგომი ქალაქის მიერ ნაყიდი საკლავი საქონელი. გუშინ ბეითალს დაუთვალიერებია ეს საქონელი და არავითარი სატკივარი არ აღმოსჩენია საქონელს.

◆ დღევანდლამდე „ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოება“-ს თავისს სკოლების გამგედ ჰყავდა განსაკუთრებული ინსპექტორი. ამ დღეებში უწმ. სინოდისაგან მოწერილობა მოუვიდა ტფილისის სამრევლო სკოლების საეპარქიო საბჭოს, რომ **საზოგადოების სკოლები მან ჩაიბაროს და ჰმართოს.** ამ წინადადების თანახმად, ინსპექტორის თანამდებობა მომავალ სამოსწავლო წლიდან უქმდება. ტფილისის საეპარქიო საბჭომ უკანასკნელს სხდომაზედ მოისმინა მოწერილობა და შეუდგა ზრუნვას იმის განსახორციელებლად. რადგანაც ახალ სკოლების მომატებით საეპარქიო საბჭოს საქმეები რთულდება, სხდომაზედ ლაპარაკი აღიძრა საბჭოს ახალ სამაზრო განყო-

ფილებების გახსნის შესახებ. საბჭომ გარდასწყვიტა, ქალაქის სკოლების ზედამხედველად დანიშნოს საბჭოს ერთ-ერთი წევრი, რომელმაც უსასყიდლოდ უნდა მიიღოს შრომა სკოლების მეთვალყურეობისა. საეპარქიო საბჭოს ახალი განყოფილებანი უნდა გაიხსნას შემდეგს მაზრებში: თიონეთისა, დუშეთისა, ზაქათალისა და აგრეთვე ტფილისისაში (ტფილის-ბორჩალოსათვის). თიონეთის მაზრაში სამრევლო სკოლების მეთვალყურედ დაინიშნა სოფ. პანკისის მღვდელი ალგუთაშვილი, დუშეთის მაზრაში—მღ. კანდელაკი, ზაქათალის ოლქში—მღ. ფურცელაძე, ტფილისისა და ბორჩალოს მაზრების განყოფილების თავმჯდომარედ დაინიშნა ქვაშვეთის ეკლესიის მღვდელი მარკოზ ტყემალაძე. კერძოდ ტფილისის სამრევლო-საეკლესიო სკოლების მეთვალყურედ დანიშნულ იქმნა დიდუბის ეკლესიის მღვდელი კალისტ. ცინცაძე.

◆ სექტემბერში ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება უნდა მოხდეს. სხვათა შორის, შემდეგი საგნები უნდა განიხილოს ამ კრებამ: ა) თავად-აზნაურთა არჩევანები გაზაფხულის მაგიერ დეკემბერში მოხდეს ყოველთვის, რადგან ეს დრო უფრო მოსახერხებელია თავად-აზნაურებისათვის (თუ კრებამ მოიწონა ეს წინადადება, წელს დეკემბერშივე მოხდება თავად-აზნაურთა არჩევანი). ბ) ტფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიისა, წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლის შესანახად და სხვ. საჭირო ფული გადაიდოს ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის შემოსავლიდან და გ) დუშეთის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის გ. ა. ყარანგოზიშვილის მოხსენება შესახებ იმისა, რომ ვიშუამდგომლოთ, გადასინჯონ ახლად გამოცემული დადგენილებანი ტფილისში იარაღის ტარების შესახებ („ნოვ. ობოზ.“).

◆ ტფილისშია ამ ჟამად მიწათ-მოქმედების სამეცნიერო კომიტეტის წევრი ბ-ნი ბაზაროვი. ბ-ნი ბაზაროვი ჩამოსულა ამიერ-კავკასიაში ადგილობრივ ღვინოების გასაცნობად, რადგანაც წელს იმპერატორ ალექსანდრე მესამის სახელობის პრემია უნდა მიუსაჯონ იმათ, ვინც საუკეთესო ღვინოებს ამზადებს. ეს პრემიები თავ. გოლიცინის მიერ შეწირულის ფულით დაარსდა.

◆ საშუალო აქციზის ქალაქის სასარგებლოდ გადასახადის წესიერად განაწილებისათვის გამგეობას ჯერ განუზრახავს ნამდვილი ცნობები შეჰკრიბოს, რამდენი სატრაქტირო სავაჭროებია ქალაქში. ამ ცნობების შეკრება გამგეობამ დაავალა ქალაქის სავაჭრო სამეურნეო პოლიციის აგენტებს.

წარსულ წელში ქალაქმა ექვსი ათასი თუმანი გააწერა სატრაქტირო სავაჭროებს გადასახადად, მაგრამ ვაჭრებმა გამგეობის განკარგულება გაასაჩივრეს და საბჭომაც კომისია აირჩია, ხმოსნის ი. ს. ყორღანოვის თავმჯდომარეობით და ამ საქმის გამოკვლევა დაავალა, მაგრამ, რამდენადაც ვიცით, ამ კომისიას აქამდე არა გაუკეთებია-რა.

◆ ლაბორატორიის ქუჩაზედ, საკუთარს სახლში მცხოვრებმა გრიგოლ ნიკოლოზის ძემ თ. თუმანოვმა 17 ამ თვეს პოლიციას გამოუცხადა, რომ სამზარეულოდგან დავკარგე დანა-ჩანგალი და დანა-ჩანგლის დასაწყობი, სულ 60 მანეთისაო. ეჭვი თავის მოსამსახურე 15 წლის ბიჭზედ, გიორგი მეტრეველზედ განაცხადა; მეტრეველი გამოტყდა ქურდობაში და სთქვა, რომ მოპარული ნივთები ვიღაც უცნობს მივყიდეო. პოლიციამ მეტრეველი შეიპყრო და ნივთების აღმოსაჩენად ღონისძიება მიიღო.

◆ 18 ამ თვეს ნაძალადევში, სანაშვილის სახლში მცხოვრების, ალექსანდრე აფრინდაშვილის $2^1/_2$ წლის ქალი ეზოში თამაშობის დროს ჩივარდა ქაში, საიდგანაც დამღრჩალი-ღა ამოიღეს.

ჩვენებური ამბები

კავკავი. დღეს, 18 მარიამობისთვეს, ქართულს ეკლესიაში წირვის შემდეგ, მღვდელმა აუწყა აქაურს ქართველობას მწერალის ავქსენტი ცაგარლის გარდაცვალება და მოკლედ განუმარტა მისი მოღვაწეობა და მნიშვნელობა ერისათვის. შემდეგ გადახდილ იქმნა პანაშვიდი მისის სულის მოსახსენებლად.

—

ახალ-სენაკი. კვირას, 18 ამ თვეს, აქაურს წმიდის გიორგის ეკლესიაში თავი მოვიყარენით და ბლაღ. მ. არისტარხოს კალანდარაშვილს პანაშვიდი გადავახდევინეთ ჩვენის ნიჭიერის და სახელოვანის დრამატურგის ავქსენტი ცაგარლის სულის მოსახსენებლად. ა. ცაგარელს აქაური საზოგადოება კარგად იცნობდა, რადგანაც განსვენებულმა რამდენიმე წელიწადი დაჰყო აქ სამსახურში. არა ერთხელ გვისიამოვნებია მისის მოხდენილის ქართულ წარმოდგენებში თამაშობით. მისმა უდროვოდ დაკარგვამ საერთოდ ყველას გული დაგვწყვიტა, ვინც-კი ვიცნობდით ჩვენს „ხუმარა ასიკოსა“...

ტრიფონ კალანდარაშვილი.

—

სამეგრელო. ზაფხული დამდეგს მეტად კარგი და ზომიერი იყო. სიმინდის ყანები ავს თვალს არ ენახვებოდა, ისეთი კარგი პირი უჩანდა. მუშა ხელი სიხარულით ცას ეწეოდა. მაგრამ აი, დადგა ზაფხულის მეორე ნახევარი თუ არა, აწვიმდა, აცივდა. ხოჭოსავით შავი სიმინდის ყანები საცაა ტაროებით უნდა დარაზმულიყო. მარა თქვენი მტერი ისე ჩასჭკნეს, ჩაყვითლდეს, როგორც ის ჩაჭკნა, ჩაყვითლდა. გიჟმაჟი ღელო-მდინარეები კოკის-პირულ წვიმებისაგან გადაირივნენ, კალაპოტიდგან გადმოვარდნენ, ერთმანეთთან შეერთდნენ და ნაპირის ყანები ძირიან-ფესვიანად წალეკეს. ხიდები, ბოგირები, წისქვილები ზღვას უსაჩუქრეს. ახლო მდებარე მოსახლეთ ეს არ აკმარეს, სახლებში შეუვარდნენ, შინაური წვრილ-ფეხა ფრინველები თუ ცხოველები იმსხვერპლეს. ზოგან ისეთი მაგალითებიც იყო, რომ შენობები წალმა-უკუღმა დაატრიალეს.

ხილეულობა დაპეპლა და ცვივა. ყურძენს ბლომად ასხია, მარა რა! ერთს შენძრევაზედ ცვივა. ფუტკარი სულ გაწყალდა. ნაყარი თვალით არავის უნახავს; ამას ვინ ჩივა. ზამთარს რაც გადურჩა, იმას გავარდა სული. ყველა ამას ზედ დაერთო სხვა-და-სხვა მოარული ავადმყოფობა: მუცელა, ყივანა-ხველა, ყელ-ჭირვება, საქონლის ჭირი, ქურდობა, ქალების ტაციობა და მშრომელ ოჯახის დაწიოკება და ყველაზე უარესი და თავი— შიმშილი. ნუგეში, შემწეობა-კი არსაით არის. ნუ-თუ ყველა ამის შემდეგ ვინმემ უნდა გაიკვირვოს, რომ სამეგრელოს სოფლის საზოგადოებათ ათასობით ნედოიმკა ჰმართებთო?

თაგანი.

—

ჭიათურა. ჩვენს შავი-ქვის სამეფოს—ჭიათურას „პროგრესი“ ეტყობა: შავი-ქვის წარმოება თანდათან მატულობს, ხალხი მოძრაობაში მოდის. ერთი წელიწადია, რაც აქ აბანოს შენება დაიწყეს და, მართლაც, საუცხოვო აბანო კეთდება. როგორც ამბობენ, შავი-ქვის მწარმოებელთა კრების საბჭოს აბანოს შენობა უჯდება 70,000 მანეთად. ეს აბანო თავის მოწყობილობით ჩვენი ქალაქების აბანოებს არ ჩამოუვარდება. აბანოს შენობა ამ ერთს თვეში სრულიად დამთავრდება და მოქმედებასაც იწყებს. აბანოსთან ერთად კეთდება ელექტრონის სადგური და იდგმება ყინულის გამოსახდელი მანქანა.

ჭიათურის საუკეთესო წყარო „ბოგატირ“, რომელიც ჭიათურის ერთს სიმდიდრეს შეადგენს და რომლითაც აქ ამაყობდნენ და თავი მოჰქონდათ, ჩვენდა სამწუხაროდ, მისი რამოდენიმე ნაწილი პატრონმა ამას წინად რკინის გზის მმართველობას მიჰყიდა და რაც გაუყიდელი დარჩა, იმასაც ეხლა შავი-ქვის მწარმოებელთა კრების საბჭო ყიდულობს ახლად აშენებულ აბანოსთვის; ამნაირად ეს ჭიათურის საუკეთესო საუნჯე ბინადარ მცხოვრებთათვის სამუდამოდ იკარგება. ამას ისიც უნდა დავსძინოთ, რომ ეს წყარო ერთვის იმ საწისქვილო ღელეს, რომელზედაც გაშენებულია 3—4 წისქვილი. რაც რკინის გზის საჭიროებისთვის გაიყვანეს წყალი ამ წყაროდგან, მაშინვე შესამჩნევად იკლო საწისქვილო წყალმა და წისქვილები საკმაოდ დაზარალდნენ. ეხლა კიდევ დანარჩენი წყალიც თუ აბანოს მოახმარეს, თქვენი მტერია, წისქვილები სულ მოისპობიან.

„ბოგატირის“ წყაროს გარდა ჭიათურისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მდინარე ყვირილას, რომელიც დაბას შუაზე ჩაუდის. ამ მდინარეში მრავალი მომუშავე ხალხი და შინაური პირუტყვი იბანება და გრილდება ზაფხულობით. პირუტყვი დღესაც იბანება, მაგრამ ხალხისთვის ბანაობა-კი ყოვლად შეუძლებელი შეიქნა, რადგანაც დარკვეთის შავი-ქვის ფრანგული უსახელო საზოგადოება ამ მდინარეში შავ-ქვას რეცხავს, რის გამო მდინარის წყალი შავი-ქვის შავი წუმპე-ტალახით არის ავსილი და მუდამ შავად და მღვრიედ მოდის. მომუშავე ხალხი დიდად შევიწროებულია, რადგან ველარ ბანაობს ამ წუმპე-წვირეში. ამ ერთი თვის წინად ჭიათურის საზოგადოებამ თხოვნა მიართვა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს, რათა დღისით მაინც აეკრძალოს ხსენებულს დარკვეთის საზოგადოებას შავი-ქვის რეცხა და მდინარის გაჭუჭყიანება და გაბინძურება.

ჭიათურელები ძლივს ეღირსნენ საკუთარს მომრიგებელ-სასამართლოს: იუსტიციის სამინისტრომ უკვე ნება დართო, გარნა სასამართლოსთვის ჯერ-ჯერობით შესაფერისი და სამუდამო სახლი ასრე მალე ვერ მოუხერხეს ჭიათურელებმა და არც სათანადო მთავრობა დასთანხმდა სასამართლოს გახსნაზედ დროებით დაქირავებულს სახლში და საქმე ჯერ შეჩერებულია.

ჭიათურის ორ-კლასიან სკოლის გახსნის და ეკლესიის აშენების შესახებ თითქმის ერთს დროს აღიძრა კითხვა; ეკლესიის გეგმა უკვე შეადგინა ინჟენერმა მიხაილოვმა და გადასცა ეკლესიის აღმაშენებელს კომიტეტს, რომელიც ამ დღეებში უკვე შეუდგა ეკლესიის ბალავრის ჩაყრას იმ საეკლესიო ადგილზედ, რომელიც მისმა მეუფებამ ყოვლად სამღვდელო ლეონიდმა დაუნიშნა ახალ ასაშენებელ ეკლესიას. რაიცა შეეხება ჩვენის ერთკლასიან სკოლის გაორკლასიანების საქმეს, ჯერ მხოლოდ მარტო მიწერ-მოწერა არის და იმედი გვაქვს ორ-კლასიან სკოლასაც მალე მოვესწრებით.

ბ. ვაშაძე.

—

რაჭა. ღები, ჭიორა, და გლოლა რაჭაში იმდენად თავისებური სოფლებია, რომ ძალაუნებურად იზიდავს მგზავრის ყურადღებას. აქაურების ზნე-ჩვეულება თავისებურია, თავისებურია ქალების ჩაცმა-დახურვაც, რომელიც თათრულს უფრო მოგაგონებთ. თუმცა ზემოხსენებულ სოფლების მცხოვრებნი ღარიბნი არ არიან, რადგან სხვებთან შედარებით ბევრი ფული და საქონელი ჰყავთ. თან ვაჭრობას ეტანებიან, მაგრამ სწავლა-განათლებით იქამდის ჩამორჩენილან რაჭის სხვა სოფლებსაცკი, რომ წერა-კითხვის მცოდნე აქ ძლიერ ცოტაა. ამ სოფლებში, ძლიერაც რომ მოინდომოთ, ერთს წიგნაკსაც ვერ იპოვნით.

როგორც ხალხის ზეპირ-გადმოცემა ამტკიცებს, აქაც აშუქებდა სხივი საქართველოს ბრწყინვალე დროისა. ამას მოწმობენ გლოლაში დღესაც შენახული მშვენიერი სამლოცველო, ძველი ციხე, რომელშიაც მოთავსებული ყოფილა ეკლესია; ამასვე მოწმობს ის დიდი პატივი, რომლითაც მთიულები იხსენიებენ თამარ დედოფალს, დავით აღმაშენებელს. ამ 15-ის წლის წინად რაჭაში გავრცელდა ხმა, ვითომც თამარ დედოფალი ცოცხალი ჰნახოთ ერთს უდაბნოში.

გლოლა ჯანჯახის მდინარის ნაპირზეა აშენებული. ჯანჯახი რიონის ერთი დიდი შტოთაგანია. გლოლას მარცხნივ ჩამოუდის ერთი მოზრდილი ღელე, რომელიც აქვე სოფელთან ჩაერთვის ჯანჯახს. სადაც ეს ორი მდინარე შეერთებულან, აღმართულია გორა, რომელიც შუაში შესამჩნევად დადაბლებულია. გორის იმ ფერდობზედ, რომელიც ჯანჯახისაკენ დაეშვება, იმყოფება ციხე ეკლესიით, რომლებიც დროთა ვითარების წყალობით ძლიერ დაშავებულან. ეკლესიაში მხატვრობა ერთიანად წაშლილია. გორის მეორე გვერდზედ იმყოფება პატარა სამლოცველო, რომლის საოცარი მხატვრობა იპყრობს მნახველის ყურადღებას, თუმცა დროთა ვითარებას და სამლოცველოს უყურადღებოდ მიტოვებას თავისი [illegible] დაუჩნევია ამ საოცარ ძველებურ ნაშთისათვის.

ყველაზე უფრო შენახულა სამლოცველოში თამარ მეფის სურათი, რომელიც საკმარისად დიდი და მშვენიერია. თამარ მეფის სურათი სხვა ალაგებშიაც დაცულა დღემდის, ამიტომ საინტერესო არის მათი შედარება. სამწუხაროდ, ეს შესანიშნავი სამლოცველო ღია არის და ადვილად შესაძლოა ვისიმე უწმინდურმა ხელმა შეურაცხჰყოს, რაც დღეს ჩვენში სენად არის გადაქცეული. ყველას,—მღვდლიდგან დაწყებული,—ვსთხოვე გაუფრთხილდნენ ამ ძვირფასს ძეგლს ჩვენის წარსულისას, მაგრამ ჩემი თხოვნა ყველას გაეღიმა, ვისთვის არის დღეს ძველი შენობები საჭიროო?!.. კარგი იქმნება სამლოცველოს ყურადღება მიაქციოს ყოვლად სამღვდელომ ლეონიდმა.

რამდენისამე წლის წინად აქ ყოფილა გრაფინია უვაროვისა, წაუღია რუსეთში ერთი ძვირფასი ნივთი ამ სამლოცველოდგან, სამაგიეროდ 200 მ. ღირებული ეკლესიის სამკაული გამოუგზავნია. უეჭველია წაღებული ნივთი მართლა ძვირფასი რამ ყოფილა.

ხალხის გადმოცემით ეს სამლოცველო თამარისაგანაა აშენებული; ციხე და შიგ მოქცეული ეკლესია-კი—დავით აღმაშენებელისაგან. დავით აღმაშენებელს ციხეზე უწინ მთაში აუშენებია ეკლესია გლოლის ზევით 7 ვერსის მანძილზე. ეს ეკლესია დღესაც საკმაოდ შენახულა. ამ ეკლესიაში რადაც შიშის გამო ხალხი არ დაიარება. ხალხის თქმით მდ. ჯანჯახიდგან მთამდის დიდძალი ხალხი ყოფილა ჩამწკრივებული, ერთი მეორეს გადასცემდა თურმე ქვას და სხვა მასალას და ამგვარად მოგროვილის მასალით აუშენებიათ ეკლესია.

ამ ეკლესიის აშენების დროს დავით აღმაშენებელს ჯორი ხშირად გაუპარებოდა ხოლმე. მოსამსახურემ აღევნა თვალი ჯორს და ბოლოს შენიშნა, რომ დღევანდელ გლოლასთან ჩამოდიოდა და აქ მჟავე წყალსა სვამდა. ეს მჟავე წყალი დღესაც არის, თუმცა მას სხვა წყალიც გაჰრევია. ეს ამბავი გაიგო დავით აღმაშენებელმა, ნახა და გასინჯა წყალი. მოიწონა და იქ მეორე გორაზე ააგო ზემოხსენებული ციხე და ეკლესია, თან გორის ძირს ჯანჯახის განაპირას სოფელიც ააშენა.

დავით თქვა,
გორი მეკეთა,
ქალაქია საშენებლად.
დავბრუნდე და დავშალო,
ბრალია დასაშენებლად (დასანგრევად).

ეს თქვა დავით აღმაშენებელმა, როდესაც ციხე და ეკლესია ააგო, სოფელი ააშენა, მაგრამ მცხოვრებლები-კი აღარ იყვნენ ციხეში და სოფელში.

მეფესთან იყო ვინმე გიორგი ბერი, რომელმაც განაცხადა აქ დარჩენის სურვილი. დავით აღმაშენებელმა დასტოვა გლოლაში გიორგი ბერი, დალოცა და ცოლის შერთვის ნებაც მისცა. გიორგი ბერმა ცოლი შეირთო, ეყოლა ორი ვაჟი და ერთი ქალი. როდესაც შვილები წამოიზარდნენ, გიორგი ისევ ბერად შედგა. ბერის შვილები კი გამრავლდნენ და მათგან დასახლებულს სოფელს მიეცა სახელი გლოლა.

ფელეტონი

გურიის მთავარი მამია V

ისტორიული ამბავი

(ვუძღვნი კნ. ელეონორა გურიელისას)

III

(დასასრული *)

პოლ. სვიმონოვიჩს, მოუვიდა თუ არა მოწერილობა ტორმასოვისაგან თ. მამია გურიელის დაფიცების შესახებ, იმ წამსვე გამოაწყო ორი როტა ჯარი და ერთი ზარბაზანი, ჩააბარა მაიორს შჩელკოჩევს და დააბანაკა სოფელს გურიათმთაში, ფოთიდგან 25 ვერსის მანძილზედ. ამასთან მისწერა პოლკ. მერლინის, რომ ფოთიდგანაც გამოეგზავნა დასახვედრებლად 6 ყაზახი რუსი. ამ გვარ ცერემონიით უნდა მიეღო ქვეშევრდომობა გურიის მთავარს თ. მამია გურიელს და მის ქვეშევრდომ თავად-აზნაურობას, მაგრამ თ. მამიამ, წაიკითხა თუ არა ტორმასოვისაგან გამოგზავნილი ხელშეკრულობა, მუხლები არ მოეწონა და არც ხელი მოაწერა. პირ-იქით გაჯავრდა და გაჯავრებულმა ფიცხი წერილი მისწერა სვიმონოვიჩს: სწერდა, რომ თუმცა მომივიდა ტორმასოვისაგან ახალი ხელშეკრულობა და მთხოვს დავამტკიცო და ხელი მოვაწერო, მაგრამ იმაზედ, რის შესრულებაც არაფრის გზით არ ძალ-მიძს, ხელს ვერც მოვაწერ და ვერც დავამტკიცებ. მე უმჯობესად ვსთვლი, რომ რაც გულში მაქვს ახლავე გითხრათ, ვიდრე შეგპირდეთ და მოგატყუოთ. მე თითქმის ყველაფერზედ ხელს მაღებინებთ, არც ავაზაკების დასჯის ნება მექნება, არც ქალაქების და მადნებიდგან სარგებლობისა და ბაჟის გადახდის ნება მექნება, არც ერთი და არც მეორე. მაშ რითი უნდა ვიცხოვრო, მიბრძანეთ და რაღა მთავარი ვიქნები, თუ საჭმელი არ მექნება და სასმელი?! სახელმწიფო ჯამაგირი და პენსია მე არ მეძლევა და რამ უნდა მარჩინოს, თუ ყველაფერს ჩამომართმევთ?! მე ყოვლად მოწყალე რუსეთის ხელმწიფისაგან სიკეთეს და ბედნიერებას ველი, თორემ ჩემი გაოხრება და დარბევა ოსმალეთსაც კარგად შეეძლო. ამისათვის გთხოვთ აცნობოთ მთავარ-მართებელს, რომ, თუ საწყენი არ იქნება, ეს ორი მუხლი შესცვალოს; ამასთან ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ამანათად ჩვენ შეგვიძლია მოგცეთ მხოლოდ ერისთავი და თავდგირიძე. რაც შეეხება ნაკაშიძეს, ამ გვართაგანი მუდამ მტერნი იყვნენ სამთავროსი და ამ მიზეზით ისინი ამანათად ვერ გაიგზავნებიან; ამის მაგიერ შეგვიძლია მესამე ამანათად გუგუნავა მოგართვათ.

სვიმონოვიჩმა ეს წერილი გენ. ტორმასოვს გაუგზავნა და თან დასძინა, რომ თ. მამია გურიელი არ არის თანხმა ხელშეკრულობის ზოგიერთ მუხლისა და არც აწერს ზედ ხელსო. ამასთან მაქვს პატივი ისიც მოგახსენოთ, რომ ხალხი და სხვა თავადებიც დავაფიცეთ, ამანათად დანიშნულ ყმაწვილების გვარსა და სახელსაც ამასთანავე სიით გიგზავნით. ესენი არიან: ლევან დავითის ძე ერისთავი, ალმასხან მამუკას ძე თავდგირიძე და ბეჟან ალექსანდრეს ძე გუგუნავა.

ტორმასოვმა მიიღო ეს წერილები და მამიასაგან ხელმოუწერელი ხელშეკრულობის ზოგიერთი მუხლები და ეწყინა. ეწყინა, რადგან თავისი დაწყობილი „პლანები“ ვერ შეასრულა და საქმეს რაღაც დამაბრკოლებელი მიზეზები უჩნდებოდა. არ იყო რომ ცოტა გაჯავრებით დასწერა წერილი და გაუგზავნა თ. მამიას, რომ ამ გვარმა შენმა საქციელმა ძრიელ გამაკვირვა და დამაფიქრაო. მე, როგორც კარგს მეგობარსსა თქვენ და თქვენის ოჯახისას, მსურს, რომ თქვენის ოჯახისათვის სასარგებლო პირობით შემოუერთდეთ დიდ რუსეთსაო და ამ აზრით გამსჭვალულმა ხელშეკრულობის ზოგიერთი მუხლი მე ჩავუმატე და განვმარტე, მაგრამ ჩემდა გასაკვირვებლად თქვენ ზოგიერთი მუხლი სრულებით არ მიგიღიათ. ეს-კი აღარ ვიცი, რას მივაწერო? თუმცა თქვენის პატივისცემისათვის ზოგიერთი ეს მუხლი, როგორც თქვენ გესიამოვნებათ, ისე შევცვალე, მაგრამ ასე შესწორებული და შეცვლილი ხელშეკრულობა ხელმწიფესთან არ წარიდგინება. ახლა გიგზავნით ისევ უკანვე და გთხოვთ შეუცვლელად მიიღოთ, ხელი მოაწეროთ და გამომიგზავნოთ საჩქაროდ, რადგან ახლაც გვიანაა მისი ხელმწიფესთან გაგზავნა, თორემ თუ ცოტა კიდევ დაგვიანდა, მერე სულ აღარ გაიგზავნება. თქვენის წერილიდგან სჩანს, სწერდა ტორმასოვი, რომ თქვენ გწყენიათ ამანათების გამოგზავნა. ეს სრულებით საწყენი არ არის და არც არავის თქვენს ერთგულობაში ეჭვი არ შემოუტანია. ეს მხოლოდ ადათია, წესია, რომ როცა დიდებულის ხელმწიფის ქვეშევრდომობას მიიღებს მცირე სახელმწიფო, იმ შემთხვევაში ამ მცირესაგან მოითხოვების ნიშნად დამოკიდებულობისა ბეთ რამდენიმე გამოჩენილ გვარების შვილი. ამ შემთხვევაში ხანდისხან ზოგიერთი მეფე თავის შვილებსაც აძლევდა ამანათად. მაშასადამე, თქვენ ნება არა გაქვთ, რომ ამის შესახებ რამე სთქვათ ან იწყინოთ. ეს საზოგადო კანონია და თქვენც უნდა დაემორჩილოთ. ნუ თუ გგონიათ, რომ ეს ყმაწვილები აქ რაიმე მწუხარებას ან შევიწროებას იგრძნობენ? არა. ესენი აქ სასწავლებლებში იქნებიან მიცემულნი. ისწავლიან, განვითარდებიან, გონებით და ზნეობრივ ამაღლდებიან და ამ გვარად განათლებულნი დაგიბრუნდებიან შინვე. თავად ნაკაშიძის გვართაგანი არ გინდათ ამანათად გამოგზავნოთ იმ მიზეზით, რომ თავადნი ნაკაშიძეები ყოველთვის მტერი და მოღალატე ყოფილა თქვენის ოჯახისა; თუ ეს მართალია, მით უმეტეს უნდა გამოგვეგზავნათ ჩვენთან ერთი იმათი გვართაგანი და ამით მოგვეგოთ მათი გული, თორემ ნიადაგ თქვენს შორის მტრობა და შური იქნება, ეს არც მათ არგებს და არც თქვენს ოჯახს. მე თ. გუგუნავას წინააღმდეგი არა ვარ, მხოლოდ არ ვიცი, რაში არიან დამნაშავე თ. ნაკაშიძეები. თუ მართლა მოსისხლე მტერია თქვენი და უსიამოვნების მომყენებელი, გვაცნობე, რომ ჯარი გამოგიგზავნოთ და ეს გვარი, როგორც შენ გსურს, ისე დაამშვიდო. რაც შეეხება ს. საჯავახოს დაბრუნებას, ეს საგანი ასე უცებ ვერ გადაწყდება, რადგან, თუ თქვენი იყო და საბუთიც გაქვთ, ეს ხელმწიფე იმპერატორს უნდა მოხსენდეს და მხოლოდ მას შეუძლია გადაწყვიტოს და დაგიბრუნოს“ *).

ს. საჯავახო იყო მამია გურიელის სამკვიდრო. ეს სოფელი ეკუთვნოდა მის წინაპრებს და მუდამ ჰფლობდნენ გურიელები, სანამ იმერეთის ტახტზედ მეფე სოლომონ I არ გამეფდა; მაგრამ, როდესაც იმერეთის მეფემ ალექსანდრემ თავისი ქალი მამია გურიელს IV ცოლად მიათხოვა, ეს სოფელიც მას მისცა მზითევში. მამია IV იყო სიმონის და ვახტანგ გურიელის ბიძა. რადგან ეს ქალი უშვილოდ გარდაიცვალა—სოლომონ I ეს სოფელი უკანვე დაიბრუნა. შემდეგ ვახტანგ გურიელმა შეირთო იმერეთის მეფის დავითის სიდედრი და სოფელიც მან წაიღო მზითევში. გარდაიცვალა ისიც უშვილოდ და სოლომონ II ეს სოფელი ისევ იმერეთს შემოუერთა და სახელმწიფოდ შერიცხა. მას აქეთ ეს სოფელი სახელმწიფოდ ირიცხებოდა. მამია გურიელმა თავის საკუთრების დასამტკიცებლად მეფე დავითისაგან დაწერილი 1787 წელს და მიცემული თ. ვახტანგისადმი ვრცელი სიგელი წარუდგინა გენ. ტორმასოვს და სთხოვა ეს სოფელი უსათუოდ უკანვე დაებრუნებია. სიგელში ეწერა შემდეგი: „წყალობითა ღვთისათა, ჩვენ ყოვლისა საიმერეთოისა მპყრობელმან, იესიან დავითიან სოლომონიან ბაგრატოვანმან, ძის ძემან სახელ-განთქმულის მეფის გიორგისამან, მეფედ მეფემან დავით და თანა მეცხედრემან ჩვენმან ორბელიანის ასულმან დედოფალმან ანნა, ესე წყალობის წიგნი, სამკვიდრო და საბოლოოთ გასათავებელი, დროთა და ჟამთა მიზეზ-შემოუღებელი, მოგეცით შენ ჩვენს დისწულს გურიელის შვილს ვახტანგს, ასე და ამა მიზეზისათვის, რომ საჯავახო პირველად ბიძა თქვენს და მამა თქვენს ჰქონებოდათ და რომლისამე მიზეზისთვის ჩვენს ძმას, ბატონს მეფე სოლომონს, მძლავრებით წაეღოთ, მერმე ბატონს ჩვენს ძმას, მეფე სოლომონსა და თქვენს შუა მშვიდობა მომხდარიყო და შენი თავი მამა თქვენს მეფე სოლომონისათვის მიერთმია და სიყრმიდგან მისი მოწყალებითა და სიყვარულით აღზრდილი იყავი; ისიც ამ წყალობას გიპირებდა, მაგრამ უჟამო სიკვდილისაგან აღარ დასცალდა და შემდგომათ მისსა ჩვენ მივიღეთ მეფობა და შენ, რადგან მისი აღზრდილი და ერთგული იყავი, ჩვენთან მობრძანდი და ჩვენთვის დიდი სამსახური და ერთგულობა მოიღვაწე და, რადგან ასე ჩვენი ერთგული იყავი, ვისმინეთ მოხსენება თქვენი და ქრთამიც აგართვით, რაც რიგი იყო და გული შეგვეჯერებოდა და საჯავახო ყოვლითურთ შენთვის მოგვირთმევია, თავისი სამართლიანის საზღვრით,

---

*) იხილე „ივერია“ № 176.

*) აქტი, ტ. IV გვერდი 440.

ეს ამბავი შეიძლება ზღაპარიც იყოს, მაგრამ ის-კი ცხადია, რომ დავით აღმაშენებელს და თამარ მეფეს დიდი ყურადღება მიუქცევიათ ამ კუთხისათვის, რომლის ბუნება დიდებულია და ლითონითა და წყლებით მდიდარი. დღეს კი ეს ქვეყანა დიდად ჩამორჩენილია სწავლა-განათლებით, თუმცა შედარებით, საქართველოს კუთხეებს ბევრად სჯობნის სიმდიდრით. ამ უკანასკნელ 20 წლამდის აქ მოდიოდნენ სააგარაკოდ დასავლეთის დიდებულნი, რომელნიც დღეს აღარ არიან. გლოლაში დღეს 37 კომლი ითვლება, მაგრამ აქაური კომლი მრავალ სულისაგან შესდგება,—თითო ოჯახში 30—50 სულია.

მაინც და მაინც ვერ გამრავლებულან გლოლელები. ამის მიზეზი ჯერ ის ყოფილა, რომ აქ ზაფხულობით სვანები და მეტადრე ოსები წამ-დაუწუმ თარეშობდნენ და ხშირად ოჯახებსაც იტაცებდნენ ხოლმე. ეს ძლიერ ეტყობა არამც თუ გლოლელებს, ღებელებს, ჭიორელებსაც-კი, რომელთა ანტროპოლოგიური ტიპი ძლიერ შეცვლილა და ოსების ტიპს უფრო უახლოვდება, ვიდრე ქართველს. გარდა ამისა, წარსულ საუკუნის დასაწყისს გლოლაში შავს ჭირს დიდძალი ხალხი გაუწყვეტია.

გლოლაში გარდა ბერიშვილებისა არიან სამი თუ ოთხი გვარის კაცები. ბერიშვილები-კი ცოტანი არიან რიცხვით. აქაური ბერიშვილები ნათესავათ სთვლიან თავისს თავს იმ ბერიშვილებისას, რომელნიც ქუთაისის გუბერნიის სხვა-და-სხვა კუთხეებში მრავალნი არიან.

აქაური მთის ხალხი იმდენად შესთვისებია ოსებს, ყაბარდოელებს, ყარაჩაელებს, რომ მშვენივრად ლაპარაკობს მათს ენაზედ. კარგი იქნებოდა, რომ ვისმეს აქაურს ეკისრნა ქართულ წიგნების გავრცელება რაჭის მთის ხალხში. წერა-კითხვის გავრცელება აქ მით უფრო სანატრელია, რომ ყველაფერში სჩანს უმეცრება და სიბნელე. იმისთანა უსუფთაობაა აქ, რომ ბარის ხალხი ვერც-კი წარმოიდგენს.

ე. ვაშაკიძე.

უცხოეთი

საფრანგეთი. გაზ. „Central News“-ს რომიდგან ატყობინებენ, კარდინალმა რამპოლამ ფორმალური ბრძანება გადასცა საფრანგეთის სამღვდელოებას, რომ იგინი დაემორჩილნენ კანონს ასოციაციათა შესახებაო. გარდა ამისა რამპოლას ვითომ ისიც ეთქვას რომში სალოცავად მოსიარულე ფრანგებისათვის, პაპს არა ჰსურს წელს ვინმე მლოცავი მიიღოს საფრანგეთიდგან, რადგან შესაძლებელია მათ მანიფესტაცია მოახდინონ, და პაპიც ამას ერიდებაო.

ინგლისი. როგორც “Daily Mail“-ი იუწყება, სამხრეთ-აფრიკიდგან დაბრუნებული ჯარების სამაგიეროდ ოქტომბერში უნდა შეადგინონ განსაკუთრებული საოკუპაციო კორპუსი, რომელშიაც იქნება 50,000 კაცამდე.

— იმავე გაზეთს ატყობინებენ ლორენცო-მარკეზიდგან, ლორდ მილნერის აქ მოსვლას ისა ჰქონდა აზრად, რომ დიდ ბრიტანიისათვის ნავთ-სადგურის აშენების კონცესია მიეღოო. მისის განზრახვით ყოველივე ხარჯი უზრუნველ-ყოფილი იქნება სადამოჟნო გადასახადებისა და დელაგოას რკინის გზის შემოსავლითაო.

— რეიტერის სააგენტოს ზოგი რამ შეუტყვია უტრეხტსა და ჰააგას ბურების გენერლებსა, კრიუგერსა და ტრანსვაალ-ორანჟეს რესპუბლიკების ყოფილ დესპანთა შორის მომხდარ მოლაპარაკებისა.

უტრეხტის თათბირზედ პირველად იმ საკითხს შეეხნენ, როგორ უნდა ექიროთ თავი მომავალში ზემოხსენებულ რესპუბლიკების იმ მოხელეთა, რომელნიც ომის დროს ევროპაში იყვნენ. ბურების დესპანნი და სხვა ომიანობის დროს ლტოლვილნი თხოულობენ, რათა დაუბრუნონ მათი საკუთრება და მისცენ მათ ნება სამშობლოში დაბრუნებისა. შეიძლება გენერლებმა მხარი მისცენ ამ სამართლიან მოთხოვნილებას და იქნება ინგლისელ მოხელეებთან საერთო მოღვაწეობის პირობაშიაც მოაქციონ ეს მუხლი, მაგრამ ჯერ-ჯერობით საბოლოო გადაწყვეტილებას არ დასდგომიან. კრიუგერის მომავალ მდგომარეობის შესახებ ბევრი არა ულაპარაკნიათ-რა, რადგან მხცოვანმა პრეზიდენტმა თავითვე განაცხადა, სამხრეთ-აფრიკაში დაბრუნებას ისევ აქ, ჰოლანდიაში, დარჩენას ვამჯობინებო. ჰააგაში ბჭობა ჰქონდათ გენერლებს ევროპასა და ამერიკაში მოგზაურობის შესახებ და დაადგინეს, სანამ გენერლები ლონდონიდგან არ დაბრუნდებიან, ეს საკითხიც გადადებულ იქმნასო. მხოლოდ პრინციპიალურად გადასწყდა, რომ არა თუ მარტო გენერლებმა, არამედ დესპანებმა და თვით დოქტორ რეიტცმაც წაიკითხონ ლექციები ბურების სასარგებლოდ ევროპისა და ამერიკის სხვა-და-სხვა ადგილებში. სააგენტოს კორესპონდენტის შენიშვნით, ლეიდსის გავლენა ამ კრებაზედ მეტად მკრთალი იყო და ეჭვს გარეშეა, რომ მისი ავტორიტეტი შესამჩნევად დაეცაო.

— პრემიერ სერ გორდონ სპრიგგსა და კაპის „პროგრესიულ“ დასს შორის მომხდარმა განხეთქილებამ სწორედ რომ ახირებულს მდგომარეობაში ჩააყენა ახალშენის პარლამენტი.

მაგ., კრება მოხდა აგვისტოს 9-ს და, როდესაც ხმები შეჰკრიბეს იმ საკითხის შესახებ, როგორ მოხდეს არჩევნები იმ ცხრა ოლქში, რომელშიაც ვადა გაუვიდათ ძველ მოხელეებს, აღმოჩნდა, რომ აფრიკანდერთა კავშირის ყველა წევრს მხარი მიეცა პრემიერისა და სამინისტროსათვის და იმავ დროს პროგრესისტები, რომელთაგანაც შესდგება სამინისტრო, მისივე წინაამღდეგნი გახდნენ. კრებაზედ მერრიმენმა კავშირის სახელით უდიდესი მადლობა გადაუხადა სპრიგგს ახალშენის კონსტიტუციის დაცვისათვის. ორატორმა სთქვა, რომ აფრიკანდერნი კარგადა ჰხედავენ პრემიერის სამძიმო შრომას და ნიშნად მადლობისა სწადიანთ შეძლებისა და გვარად დახმარება გაუწიონ მასაო. იგინი იმ წმიდა აზრით არიან გამსჭვალულნი, რომ როგორმე გააუმჯობესონ თავის საბრალო სამშობლოს კეთილდღეობა, დააყენონ იგი მკვიდრს საფუძველზედ და შეირჩინონ უფლება თავისუფალ ავტონომიურ პარლამენტისაო.

ოსმალეთი. „Matin“-ის კორესპონდენტის სიტყვით, ერთს ბუქარესტის გაზეთს შეუტყვია, რომ ადგილობრივ პოლიციას დაუჭერია წერილები, რომელთა წყალობითაც მეტად ბევრი საყურადღებო საქმეები გამოუაშკარავებია მთავრობასაო.

ამ წერილებიდგან, სხვათა შორის, აღმოჩენილა, რომ მაკედონიის კომიტეტს განუზრახავს მოკვლა ხონთქრისა ან დიდის ვეზირისა.

— სტამბოლიდგან ატყობინებენ „Frankf. Zeitung.“-ს, ხონთქარმა ირადე გამოსცა, რათა შეადგინონ კომისია შინაგან საქმეთა ვაჭრობისა, საერო განათლებისა და მიწათმოქმედების სამინისტროთა მოხელეთაგან. ამავე კომისიაში მონაწილეობას მიიღებენ ვაკუფები და პოლიცია. კომისია უნდა გაიგზავნოს მაკედონიას, რათა მოახდინონ ზოგიერთი რეფორმა სულთანისავე ჩვენებით; ცვლილება უნდა მოხდეს ჟანდარმთა რაზმში, სკოლებში, გაკეთდეს გზები და სხ. და სხ.

ჩინეთი. როგორც „Courrier de Jaïgon“-ი იუწყება, ჩინეთის საქმეები მეტად საშიშ მდგომარეობაშიაო.

სიჩუანის ოლქში ისევ დაიწყო მოძრაობა, რომელიც მეტადა ჰგავს „დიდის მუშტის“ მოძრაობასაო. საოცარმა გვალვამ სრულიად მოსპო ნათესობა; ბრინჯის მაზანდამ მეტად აიწია, და სწორედ ესაა მიზეზი მკვიდრთა აღელვებისა. ყაჩაღთა ბრბომ ხელში ჩაიგდო პროვინციის უმეტესი ნაწილი და არცაა არავითარი საშუალება, რომ მათ კაცი როგორმე მიუდგეს. გადასახადთა აკრეფის აუცილებელმა საჭიროებამ აიძულა მთავრობა, რომ მკაცრ ზომებისათვის მიემართნა, რადგან სამხედრო კონტრიბუცია უნდა გადაეხადა, და ამან კიდევ უფრო გაამწვავა საქმე.

ყაჩაღები თამამად დათარეშობენ აგრეთვე ნანკინში მიმავალ გზებზედაც. ამ უკანასკნელ ხანებში რამდენიმე მგზავრი მოუკლავთ და გაუცარცვავთ, გვამები მდინარეში გადაუყრიათ.

შუა-ამერიკა. ვენესუელის რესპუბლიკაში რევოლიუცია ჯერ კიდევ არ ცხრება. უკანასკნელ ამბების შესახებ „Matin“-ის კორესპონდენტი შემდეგს იუწყება „პორტ-ოფსპაინა“-დგან:

აგვისტოს 10-ს რევოლიუციონერებმა აიღეს ქალაქი კუმანა, რომელიც მთავრობასა და ჯარს დაეტოვებია, და პორ-ლამორს (კუნძულ მარგარიტაზედაა) გაქცეულიყო. გენერალს ველუტინის წინა ღამეს შეეკრიბა ჯარის კაცები და გამოსულიყო პორ-ლამორიდგან, რათა იერიში მიეტანა კარულანოზედ, რომელშიაც მეტად მცირე რაზმი ყოფილიყო მეამბოხეთა. რა ხდება შუაგულ რესპუბლიკაში, არავინ უწყის. პრეზიდენტი კასტრო ჯერ ისევ სან-კაზიმიროშია. მეამბოხეთა და მთავრობის მთავარი ჯარები ჯერ ერთმანერთს არ შეხვედრიან.

თეატრი და ხელოვნება

ჭიათურა. ამ ზაფხულს ჭიათურაში ხშირად იმართება ხან ძვირფასიანი და ხან იაფფასიანი წარმოდგენები; ჯერ 7—8 თვე ისე გავიდა თეატრის დაარსების შემდეგ, რომ ჭიათურაში ერთს წარმოდგენასაც ვერ ვეღირსეთ და ახლა-კი კვირაში 3—4 წარმოდგენას ჰმართავენ ჩვენი დედა ქალაქების მსახიობნი და ვშიშობთ, რომ ლამის თავი არ მოგვაბეზრონ. ჩემის ფიქრით, საკმარისია ჭიათურაში თვეში ერთი ან ორი წარმოდგენა დაიდგას. მაშინ ხალხიც უფრო პატივის ცემით დაესწრება და შემოსავალიც უკეთესი დაურჩებათ. გაუგონიათ დალოცვილებს ჭიათურაში ფულები ნიჩბით სახვეტი არისო და ისკი არ იციან, რომ როგორც ქუხს, ისე არ წვიმს; ვისაც-კი ოდესმე სცენაზედ ფეხი შეუდგამს ან თეატრში წარმოდგენას დასწრებია, ყოველას საღერღელი აშლია, ყველას მადა მოსვლია ჭიათურის თეატრში თამაშობისა და, კარგად თამაშობს თუ გლახად, იმას არ დაეძებს, ოღონდ-კი ორიოდე გროში ძალა-უმადურად აილოს, სახელოვან არტისტებს გვერდში ამოუდგეს, არტისტის (!) სახელი მოიხვეჭოს...

14 ამ თვეს დანიშნულია კიდევ სახალხო იაფ-ფასიანი წარმოდგენა. როგორც აფიშებშია მოხსენებული, წარმოადგენენ კომედიას და ვოდევილს „სიკოია დენჩიკი“ და „რაც არ მერგება, არ შემერგება“. აქედგან მკითხველი მიხვდება, რომ ჭიათურის თეატრში ოთხი-ხუთი წარმოდგენა იმართება ყოველ კვირაში. ღმერთმა ხეირი ჰქნას, მაგრამ ვაი თუ „მეტის-მეტი—ბრეტის-ბრეტი“ იქმნეს და ასე მოხშირებულმა წარმოდგენამ მეტი ზარალი მოიტანოს და ცოტა ნაყოფი.

ბ. ვაშაძე.

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ვლ. ალექსი-მესხიშვილს, ქუთაისის თეატრის მომავალ სეზონის ანტრეპრენიორს, ტასო აბაშიძისა მოუწვევია თავის დასში მონაწილეობის მისაღებად.

14 აგვისტოს, მარიამობის წინა ღამეს, სოფ. სალოლაშენში, საცა დიდი დღეობა იცის, გამართული იყო შინაური სალიტერატურო და სამუსიკო საღამო თ. სარდიონ სვიმონის ძის და კნ. მაკინე ქაიხოსროს ასულის ამირეჯიბთა მეთაურობით მათსავე საკუთარს სახლში. საღამოს საკმაოდ ბლომად დაესწრო ხალხი ახლო-მახლო სოფლებიდგან. შემოსავალი საქველმოქმედო საქმისათვის იყო დანიშნული. შეგროვდა სულ ექვს თუმანზედ მეტი, რომელიც დანიშნულებისამებრ გარდაეცა, ხოლო ყოველივე ხარჯი და შრომა საღამოს მოსაწყობად თვით საღამოს მოთავეებმა იკისრეს.

საღამოზედ საინტერესო იყო უფრო სამუსიკო ნაწილი. ასრულებულ იქმნა, სხვათა შორის: რომანსი Разбитое сердце, რუბინშტეინისა, „კონცერტი“ გოლტერმანისა, შეასრულა ვიოლონჩელზედ ი. აბაშიძემ ნ. ნუდჟევსკის ქალის აკომპანიმენტით როიალზედ. ბევრი სხვა ნომრებიც იყო, რომელთა შორის უფრო მოეწონა საზოგადოებას სკრიპკაზედ ასრულება სხვა-და-სხვა პიესისა სათავად-აზნაურო სკოლის მოსწავლის ორჯონიკიძის მიერ. ბოლოს ხორომ სთქვა სხვა-და-სხვა ქართული სიმღერები. დასასრულ გაიმართა ცეკვა. საზოგადოება დიდად ნასიამოვნები დაიშალა გათენებისას.

წერილი
რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

თქვენის გაზეთის „ივერიის“ 143 №-ში დაბეჭდილი იყო ცნობა ჩემის საბლაღოჩინო სოფლის თარგამეულის სასაფლაოს შესახებ შენიშვნა. ვიღაც მგზავრად წოდებული მე ბრალსა მდებს, ვითომ თარგამეულის ეკკლესიის მრევლს ჩემი მეოხებით სასაფლაო უნდა აღ ჰქონდეს, ვითომ მე ამ საქმეში უკანონოდ მოვიქეცი და სხვა...

ბატონი მგზავრის წერილი ერთობ სიმართლეს მოკლებულია. აი, რაში მდგომარეობდა საქმე: თხუთმეტ წელზედ მეტია, რაც თარგამეულის შტატის ეკკლესიის მრევლი, რიცხვით 64 კომლი, სცდილობდა მიეჩინა სადმე ერთი სასაფლაო ადგილი, ვინაიდგან ძველი სასაფლაო (ეკკლესიის ეზო) ერთობ ვიწრო იყო და ერთი მიცვალებულის დამარხვაზედ მცხოვრებნი იძულებულნი იყვნენ რამოდენისამე სხვა მიცვალებულის ძვლებს შეჰხებოდნენ; მოგეხსენებათ, ჩვენს ქვეყანაში, საუბედუროდ, ისეთი საზოგადო საერთო საქმე არ გაკეთდება, რომ ქიშპმა და უთანხმოებამ არ იჩინოს თავი. თარგამეულის ეკკლესია უხსოვარ დროიდგან გაშენებულია ერთობ მიუვალ კლდოვან და მაღალ თარგამეულის მთაზედ, სადაც წინა დროებში თარგამეულის მრევლიც ამ ეკკლესიის მახლობლად იყო დასახლებული, გარნა დროთა ვითარებისა გამო მთელი მრევლი მთიდგან ჩამოხიზნულა და დასახლებულა უფრო დავაკებაზედ, მდინარე ტეხურის პირად ორი ვერსის სიგრძეზედ. ეკკლესია-კი ისევ დარჩენილა თავის ადგილზედ, ხოლო როცა სასაფლაოს არჩევაზედ აღიძრა კითხვა, მრევლთა შორის დიდი კამათი შეიქმნა, რადგან ისინი დარწმუნებული იყვნენ, სადაც სასაფლაო დაინიშნება, იქ ეკკლესიაც გადიტანებაო და ხომ მოგეხსენებათ, ეკკლესია ყველას თავის კარზედ უნდა, რაიცა შეუძლებელია საზოგადოდ ყოველგან და განსაკუთრებით სამეგრელოში, სადაც მრევლის მოსახლობა ერთი მეორესთან ვერსობით დაშორებულია. აი ამის გამოც თარგამეულის ეკკლესიის მრევლი, რიცხვით 64 კომლი სასაფლაოს მიჩენაში ორ ნაწილად გაყოფილა, ერთს, უმცირეს ნაწილს მრევლისას თავის თავად დაენიშნა ადგილი, გარშემო შემოეღობა და შიგ პატარა სახლიც ჩაედგა, მაგრამ, რადგან უმეტესი ნაწილი მრევლისა არ ყოფილა თანახმა, ამის გამო ჩემსწინა მოადგილეს ბლაღოჩინს ბერიძეს არ ეკურთხა ის ადგილი მათთვის და მაშინ, რაც მესრები მოტანილი იყო, პატრონს უკანვე წაეღო და სახლიც შეხსნილი არ ყოფილა და ისიც თავის პატრონს გადუტანია. შემდეგ სასაფლაოზედ შეჩერებულა საქმე. ეს მომხდარა 1890 წელსა, ხოლო მე შემომიერთეს თარგამეულის ეკკლესიის სამრევლო 1894 წელსა. მაშინ მე თარგამეულის სამრევლოში არც სასაფლაო მიჩენილი დამხვედრია, არც შიგ პატარა სახლი და არც არავითარი საქმე ჩემი წინა მოადგილესაგან ამ სასაფლაოს შესახებ გადმომცემია. მე პირველ შესვლისათანავე მივაქციე ყურადღება სასაფლაოს სივიწროვეს იქ და მრევლს წინადადება მივეცი მიეჩინათ ადგილი. გაჩნდა მათ შორის მხარეობა. ერთი მხარე შესდგა 22 კომლისაგან და მათ მიიჩინეს ცალკე ადგილი ზომით ერთ ქცევა ნახევარი, ხოლო მეორე

მთითა, ბარითა, ტყითა და წყლითა; გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენს სიყვარულსა და ერთგულობაში. ამის და მოწამედ და თავდებად მიმიცია თავად დაუსაბამო ღმერთი და ყოველნი მისნი წმინდანი ზეციერნი და ქვეყნისანი, უხორცონი და ხორციელნი; კაცთაგან ყოვლად სამღვდელო ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოსი, ერისთავი ელიზბარ, წულუკიძე ბერი და გიორგი, წერეთელი პაპუნა, აბაშიძე ზაალ, მესხი ოტია და იოანნე, სხვა ყოველნი კარისა ჩვენისა გამგენი უზედაესნი და უქვედაესნი. აწ რამანც ძემან კაცისამან მეფემან ანუ ძემან მეფეთამან, სამღვდელომან ანუ საერომან, თავადმან ანუ აზნაურმან, დიდმან ანუ მცირემან შენ ეს მოგიშალოს, ისიმც შეიშლება სჯულისაგან ქრისტიანობისა, მასამც რისხავს თავათ დაუსაბამო ღმერთი, მამა ძე და სული წმიდა, შემცაედების კეთრი გეზისი, ძრწოლა კაენისა, შიშთილი იუდასი, მეხის ტეხა დიოსკორე უღვთოსი, ცოცხლივ დანთქმა დათან და აბირონისა, სირცხვილი კრისკენტ და თაბინესი, იანეს და იამბრეს, ანნას და კაიაფას ნაწილი იყოს და უსჯულოსა ეროდესთანა დაემკვიდროს და ყოვლისა ძველისა და ახალისა სჯულისა უარის მყოფელთა წიგნსა აღიწეროს საუკუნო ცხოვრება მისი და შეჩვენებულიმცა იქნება წმიდისა სამებისაგან, ათ-ორთა მოციქულთაგან, შვიდთა მსოფლიო კრებათაგან, ოთხთა პატრიარქთაგან და ყოველთა წმინდათა მათთაგან, რომელიც სათნო იყვნეს და კვალად რომელნიც სათნო ყოფად არიან ღვთისა ამათ დიდებულთა დასთა და მწყობართა წმინდათაგან წყეულ, კრულ და შეჩვენებულიმცა იქნება წიგნისა ამისა შლად ხელთ-მყოფელი, ხოლო დამამტკიცებელნი ამისანი აკურთხოს უფალმან კურთხევითა აბრაამიანითა ცვარისაგან ცისა და სიპოხისაგან ქვეყნისა და სიმრავლე იფქლისა და ღვინისა და კვალად კურთხევითა მით, რომელსა ქადაგებს მოციქული, რომელი თვალმან არა იხილა და ყურსა არა ესმა და გულსა კაცისასა არა მოუხდა, რათა იგი განუმზადა ღმერთმან მოყვარეთა თვისთა. აღიწერა ხელითა მდივან “ყოფილის გერმანე დაყუდებულისათა. ქრისტეს აქეთ ჩღპზ. აქ აზის მეფის დავითის ბეჭედი.*)

IV

ეს საბუთები და ბევრი კიდევ სხვაც თ. მამა გურიელმა და მისმა ბიძამ ვახტანგმა წარუდგინეს სვიმონოვიჩს და სთხოვეს, რომ მთავარ-მართებლისათვის წარედგინა და ეს სოფელი, როგორც მათი მკვიდრი საკუთრება, დაებრუნებიათ მათთვის. გენ. სვიმონოვიჩმა წაიკითხა ეს საბუთები, თავისი აზრი წააწერა და ამ გვარად გაუგზავნა მთავარ-მართებელს. სვიმონოვიჩი სწერდა ამ საბუთების შესახებ. რომ ეს სოფელი არც იმერეთს ეკუთვნის და არც გურიას, იგი ხიზანის საკუთრებაა და ამიტომაც, ჩემის აზრით, დასძინა სვიმონოვიჩმა, ორივეს უარი უნდა ვუთხრათო.

მიიღო მთავარ-მართებელმა ეს წერილი და მასთან გურიელისაგან წარმოდგენილი საბუთებიც და აცნობა სვიმონოვიჩს, რომ მე სრულებით თანახმა ვარ თქვენის აზრისაო, რადგან საჯავახო იმერეთის დაპყრობის დღიდგან სახელმწიფოდ ირიცხება და არც არავის შეუძლია ის მიითვისოს. ამისათვის გიგზავნი უკანვე ამ საბუთებს, დააიმედე ტკბილის და მოხერხებულის სიტყვებით, რომ ეს სოფელი დაუბრუნდებათ გურიელებს მაშინ, როდესაც იმერეთში მშვიდობიანობა დამყარდება და ხელმწიფე იმპერატორი ინებებს მათის თხოვნის განხილვას... მანამდის-კი ამ გვარის თხოვნით ტყუილად თავს ნუ შეიწუხებენო.

ამ წერილთან ერთად სვიმონოვიჩს გაუგზავნა მთავარ- მართებელმა თ. მამია გურიელის გადასაცემად დამტკიცებული გრამოტა, შესახებ მთელი გურიის სამთავროს რუსეთის მფარველობის ქვეშ მიღებისა, ინვესტიტურის ნიშნები: დროშა რუსეთის ღერბისა, ძვირფასი ქვებით მოჭედილი რხმალი, უმაღლესი რესკრიპტი, პირველის ხარისხის წმ. ანნას ორდენი და დედა მის კნ. მარინეს სახელზედ ცალკე დაწერილი უმაღლესი რესკრიპტი. ესე ყოველივე ჩაწყობილი იყო ცალკე კოლოფებში და მათ თან ახლდათ მთავარ-მართებლის წერილებიც, სადაც ნაბრძანები იყო, რომ სვიმონოვიჩს, ამ ორდენების და გრამოტის გადაცემის დროს, ისეთი ცერემონია უნდა შეესრულებია, როგორც 1810 წ. 18 მაისსს შეასრულეს აფხაზეთის ქვეშევრდომობის მიღების დროს. ამ გრამოტის ჩაბარების დროს უნდა დაიფიცოს თ. მამია გურიელმა, ხელი მოაწეროს, როგორც მან, ისე იმ სასულიერო კაცმაც, რომელიც დააფიცებს და ამ გვარად სვიმონოვიჩის რაპორტით ეს ხელმოწერილი ფიცის ფურცელი უკანვე უნდა დაგვიბრუნდეს ხელმწიფე იმპერატორისადმი გასაგზავნადა.

უმაღლეს გრამოტაში, რომლითაც გურიის სამთავრო მიღებულ იქმნა დიდის რუსეთის ქვეშევრდომად, შემდეგი ეწერა: „ჩვენს საყვარელს, ერთგულს ქვეშევრდომს, პოლკოვნიკს და წმ. ანნა პირველის ხარისხის ორდენის კავალერს თ. მამია გურიელს ჩვენი იმპერატორებითის უდიდებულესობის მოწყალება და კურთხევა ეძლვნა. შევასრულეთ რა თქვენი სურვილი, რათა სამუდამოდ შემოერთებულიყავით რუსეთის სახელმწიფოსთან, ჩვენ სრულებით ეჭვიც არა გვაქვს თქვენის ჩვენდამი ერთგულობაში და არც ჩვენდამი გამოგზავნილ პირობის იმ მუხლების შესრულებაში, რომლებიც ჩვენ მივიღეთ და დავამტკიცეთ კიდეც. დღეის დღიდგან გამტკიცებთ მემკვიდრეობით გურიის სამთავროს მთავრებათ, იმ პირობით, რომელ უმაღლესი უფლება და მფარველობა გურიის სამთავროისა იქნება დიდის რუსეთის ხელმწიფის ხელში. ამისათვის, როგორც თქვენ, ისე მთელის გურიელის ოჯახობა მიგვიღია ჩვენს მფარველობის ქვეშ და გიგზავნით ჩვენის იმპერატორებითის უდიდებულესობის მოწყალებას და ლოცვა-კურთხევას. თქვენ მიერ გამოგზავნილს პირობას შეუცვლელად ვამტკიცებთ და დღეის დღიდგან არავის ნება არ ექნება იმის დარღვევის და შეცვლისა. ამის ნიშნად გიგზავნით დროშას და ოქროს რხმალს, რუსეთის ღერბით შემკულს, რომელიც უნდა სამემკვიდროთ ინახებოდეს გურიელების ოჯახში, რადგანაც თქვენი შთამომავლობა თქვენებრ უნდა გამოითხოვდნენ ჩვენგან ნებას გურიის მთავრად კურთხევისას. ამას გარდა, მოგანდობთ რა მთელის გურიის მართვა-შენახვას, იმედი გვაქვს ჯეროვანად დაამყარებთ მათ შორის სამშობლოს სიყვარულს, ღვთის შიშს, სასოებას და სიმართლეს და ისევე ერთგულად, მხნედ და მამაცათ დაიცავთ ყველგან და ყოველთვის დიდი რუსეთის ინტერესებს, როგორც დღემდის იყავით ჩვენთვის თავდადებულნი. ამ გვარის განუსაზღვრელის იმედით გეძლევათ თქვენ ეს გრამოტა ხელის მოწერითა ჩემითა და დასმითა სახელმწიფო ღერბისათა. ქ. პეტერბურგი, აპრილის 8 დღესა 1811 წელსა. „ალექსანდრე I“. *).

გურიის უკანასკნელი მთავარი მამია V იყო სვიმონ გიორგის ძის გურიელის შვილი. სვიმონს ჰყავდა წერეთლის ქალი სოფიო*), რომელიც გარდაიცვალა 20 ნოებერს 1826 წ. მამია V-ს შვილები: დავითი, გარდაიცვალა 20 ნოებერს 1839 წ., ასული ეკა, რომელიც მცირე-წლოვანი იყო წაყვანილი კონსტანტინეპოლში და შემდეგ იქიდგან დაბრუნებისა მითხოვებულ თ. ჩიჩუასადმი (ამის შესახებ მთელი მოთხრობა არის ცალკე წიგნად დაბეჭდილი, სახელდობრ, „ეკატერინე ბატონიშვილი“, თავართქილაძის გამოცემა. ეს წიგნი ქუთაისის წიგნის მაღაზიებში ყველგან იპოვება გასასყიდად), ტერეზია, თ. გრიგორ დადიანის მეუღლე, რომელიც გარდაიცვალა 1871 წელს. ამის ნაშიერი უშვილოთ გადაეგო და მემკვიდრეობა გადავიდა სვიმონის ძმაზედ. სვიმონის შემდეგს ძმას ერქვა ვახტანგი. ვახტანგს ჰყავდა ორი ძე: დავითი ანუ დათა და კონსტანტინე, რომელიც მცირე წლოვანობაშივე გარდაიცვალა. დავითი დაიბადა 1 ნოემბერს 1802 წელს და გადაიცვალა 19 ნოემბერს 1856 წელს, მარხია ჯუმათის მონასტერში. დავითს დარჩა შვილები: მამია VI (პოეტი), ჯამბაკურ, ვახტანგ, ალექსანდრე და ვარდენ. მამიას გარდა, ყველა ესენი დღესაც ცოცხლები არიან და სცხოვრობენ გურიაში.

თ. ხუსკივაძე.

---

*) იქვე, გვერდი 441.

*) იქვე, გვერდი 443.

*) აქტებში სვიმონის ცოლი იწოდება მარინედ, რესკრიპტიც მარინეს სახელზედ არის დაწერილი, მხოლოდ რაც შეეხება დ. ბაქრაძის გენეალოგიურ ქარტას, რომელიც მოთავსებულია მის თხზულებაში: „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“ სვიმონის ცოლი სოფიოდ იწოდება. კარგი იქნება თ. გურიელები გვაცნობებდნენ, რომელი უფრო მართალია—სოფიო თუ მარიამ.

მხარე 42 კომლისაგან შესდგა და მათ ცალკე მიიჩინეს ორი ქცევა ადგილი. ეს ორი ადგილი ასის საჟენით შორავს ერთმანეთს. იმ 22 კომლთაგან მიჩენილ ადგილის გვერდზედ ესახლა ამავე სოფლის მცხოვრები ბესარიონ ფალავა. მე ყოველივე გარემოება ავსწერე ამის შესახებ და ყ.-დ სამღვდელო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზს ალექსანდრეს წარვუდგინე და თანაც მოვახსენე ჩემი აზრი. „საუმჯობესოდ ვხედავ-მეთქი ეკურთხოს ის ადგილი, რომელსაც მრევლის უმეტესი ნაწილი უჩვენებს და რომელიც სივრცითაც მეტია“; ყ-დ სამღვდელო ეპისკოპოსი ალექსანდრე დაეთანხმა ჩემს აზრს, ნება დამრთო მეკურთხა ხსენებული ადგილი, და კიდევაც შევამესრიე მრევლს და ვაკურთხე; ეხლა ეს ადგილი არის თარგამეულის სოფლის ეკკლესიის სასაფლაო, სადაც რამდენიმე მიცვალებულიც დაუმარხავთ. სწორედ უნდა ვსთქვათ, ამ სასაფლაო ადგილს მთელი თარგამეულის მრევლთათვის საშუალო და შესაბამი ადგილი უჭირავს და ეს ადგილი ეკკლესიასაც კარგს შემოსავალს შემოუტანს ნიგვზის ხეებიდგან და სათიბიდგან, რომლის წინაალმდეგ ამ მცირე ნაწილს მრევლისას არა შეეძლო რა ეთქვა და რომ კანონით ვეღარ შესძლეს თავიანთი სურვილის აღსრულება, უკანონობისათვის მიეყოთ ხელი: თავიანთ გარდაცვალებულთ ისევ ძველს სასაფლაოზე დაუწყეს იდუმალ მარხვა და მით სხვა გარდაცვალებულთა გვამებს შეეხნენ. ამაზედ კვლავ მოვახსენე ყ-დ სამღვდელო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზს ალექსანდრეს და მისი მეუფების განკარგულებით სენაკის მაზრის უფროსს ადგილობრივ ბოქაულის პირით გამოუცხადებია მათთვის ამიერიდგან არ გაბედონ ძველს სასაფლაოზე მიცვალებულთა დამარხვა. ამნაირად ამ მრევლის მცირე ნაწილის (22 კომლის) უკანონო სურვილის აღსრულებას ყოველგნით რომ გზა შეეკრა, მათ დამცველად ვილაც მგზავრი გამოჩენილა და დაუწყვია გაზეთის საშუალებით ვითომ ამ დაჩაგრული პირების სიმართლის აღდგენა.

ბლაღოჩინი მღვდელი კონდრატე ჩაჩიბაია.

დ ე პ ე შ ა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

19 აგვისტო

ვლადიმერი. წითელის ჯვრის საზოგადოების უმთავრეს გამგეობის განკარგულებით ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველად გაიგზავნენ ჩიტაში ხუთნი დანი მოწყალებისანი გიორგის საზოგადოებისა.

გურზუფი. 9 აგვისტოს მიტროპოლიტი ანტონი მოვიდა კისლოვოდსკიდგან გურზუფს და დაბინავდა პუშკინის სახლში. აქ დარჩება ერთს თვეს ზღვაში საბანაოდ.

ტიუმენი. მოვიდა ორი იაპონელი მოხელე, რომელნიც სწავლობენ ციმბირის ვაჭრობასა და მრეწველობას.

ბერლინი. ვირხოვი დიაღ სუსტად არის, თუმცა გარცბურგიდან ბერლინამდე მგზავრობამ ცუდად არ იმოქმედა მაზე. დღეს უფრო უკეთ არის, ვიდრე რვა დღის წინად იყო.

ხარკოვი. არხეოლოგიურ კრების წევრთა ექსკურსია მარჯვედ მოეწყო. მონაწილეობა მიიღო 150-ზე მეტი კაცმა; ძველის ნაშთების თხრაში მონაწილეობას იღებდნენ გარადცოვი და პროფ. სამოკვასოვი; მეთერთმეტე საუკუნის ნაშენის კვალი აღმოაჩინეს.

პეტერბურგი. დღეს პეტერგოფის თეატრში გაიმართა წარმოდგენა უმაღლეს ახალ ჯვარწერილთა საპატიოდ.

პეტერბურგის ბირჟა, 16 აგვისტო.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,15
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,80
ბერლინში ,,	46,27½
პარიჟში ,,	37,62½
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97⅛ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99 მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	—
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	467 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	357 გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	291¾ წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები ,, „ „ „	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	—
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	—

ყოველ-დღიური საჭირო ცნობანი

რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბაქო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით)	3 ს. 43 წ. დღ.	11 ს. 49 წ. დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „ „	8 ს. 37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. საღ.
ბათუმი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე)	10 ს. 2 წ. დილ.	7 ს. 43 წ. დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. საღ.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. საღ.	9 ს. 27 წ. დილ.
ყარსი და ალექსან.		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე)	7 ს. 18 წ. დილ.	9 ს. 28 წ. საღ.
სამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან)	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბორჯომი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე)	9 ს. 57 წ. დილ	6 ს. 22 წ. დილ
სამგზავრო „ „	6 ს. 53 წ. საღ.	2 ს. 28 წ. დღ.

განცხადება

ქ. გორში

სამეფო ქუჩაზედ, არჩუაძის და მაისურაძის წიგნის მაღაზიაში ისყიდება, დაკლებულ ფასად, შეგირდებისათვის ყოველ გვარი სახელმძღვანელო წიგნი.

(30—ნ.—13)

ვაცხადებთ იმ წევრების საყურადღებოთ, ვისაც **ყვირილის თეატრის ამხანაგობის პაის ფული** სრულად არ აქვს გადახდილი, რომ უნდა გადაიხადონ **ენკენისთვის პირველამდის.** წინააღმდეგ შემთხვევაში, ის წევრი, ვინც მაზედ დარჩენილ ფულს არ შემოიტანს, ამხანაგობიდან გამოირიცხება და შემოტანილი ფულიკი დარჩება ამხანაგობის სასარგებლოდ.

გარეშე პირს თუ ვისმე ესურვება პაის ყიდვა, შეუძლიან მოგვმართოს შემდეგი ადრესით: Квирилы. Квирильское Театральное Т—во.—პაი ღირს ათი მანეთი.

თავმჯდომარე ამხანაგობისა
კნ. ბარბარე სპირიდონის ასული წერეთლისა.

(10—ნ.—2).

გუმმი-პეპსინი

(Gummi-Pepsin)

პროვიზორის ი. ი. პოგოს-სკისა.

საღეჭი კამფეტი პიტნა-ნარევი, საჭმელის მოსანელებელი და დიდად მარგებელი იმათთვის, ვისაც კუჭის ავადმყოფობა (катаръ) სჭირს. აგრეთვე ამცირებს თამბაქოს წევის სურვილს და უკარგავს პირში გლახა სუნს.

5-ი პრტყელი კამფეტი, წონით 15 გრამი, ღირს 20 კაპ. იყიდება ყველა აფთიაქებში და აფთიაქის მაღაზიებში.

(8—ნ.—7)

ღვთის-მოყვარულთა ქრისტიანეთა მიმართ

სოფელი ნაღვარევი, რომელიც მთიულეთშია, დარჩა უეკკლესიოდ, ხალხი-კი აქ მეტად ღარიბია და დავიწყებული ყველასაგან. 100 კომლამდე მცხოვრებელია, მაგრამ ორასი კომლიც რომ იყოს, რა მოახერხოს ასეთმა ბეჩავმა ღარიბ-ღატაკმა მთიულმა ხალხმა? იქამდე ღარიბნი და საწყალნი არიან, რომ წლითი-წლამდე მათი საზრდო მხოლოდ სიმინდი და ქერია, რომელსაც ყიდულობენ ქ. კავკაში 110 ვერსის მანძილზედ და ტანჯვა-ვაებით გადმოაქვთ თავიანთ სახლში.

ამიტომ განვიზრახე მოგროვება ფულისა და აგება ეკკლესიისა. ამ აზრით გ ამოვითხოვე წიგნი მათ მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობის ალექსისაგან, რომ შეწირულებითა და შეწევნითა ხალხისათა აღვაშენო ნაღვარევის სამრევლოში სახლი ღვთისა, წმ. გიორგის სახე ლობაზედ. ვიმეორებ ამ თხოვნასა, ვბედავ და ვაწუხებ ყველა ღვთის მოყვარულ მართლ-მადიდებელ ქრისტეანეთა და ვსთხოვ უმორჩილესად შემწეობა აღმოუჩინონ ამ წმიდა საქმესა.

ჩ ე მ ი ა დ რ ე ს ი:

Ст. Млеты. Воен.-Груз. дор., Т. губ. Сборщику доброхотныхъ пожертвованій на постройку новаго храма въ сел. Нагвареви, причетнику Алексѣю Арганашвили.

ბორჩალოელ ქართველთა გულის-შემატკივართა მიმართ.

ახალშენ ეკატერინენფელდში (ბორჩალოს მაზრა), სადაც ნემცებთან ერთად მრავალი ქართველობა სცხოვრებს, გადმოსახლებული სოფლად საშინელის გაჭირვებისა გამო და მკვებავი გატანჯულის ცოლ-შვილისა დღიურის მუშაობით, არ არსებობს ეკკლესია ღვთისა, რომელშიაც ნივთიერად დამარცხებულ ერს შეეძლოს აღორძინდეს სულიერად მაინც და დააკმაყოფილოს თავისი რელიგიური გრძნობა-მოთხოვნილება.

უეკკლესიობისა გამო ქართველი გლეხი ხალხი და მასთან ყველა ისინიც, რომლებიც მსახურობენ აქ სხვა-და-სხვა მმართველობაში, დაიარებიან ნემეცთა ეკკლესიაში, სადაც თვით მოზრდილები და მეტადრე, ნემცურის ენის მცოდნე ახალთაობა, ისმენს ლიუტერის განდგომილს სწავლას.

ქრისტეს მიერ საყვარელნო ძმანო! მოგეხსენებათ, რა შედეგსაც მიგვწევს ეს სამწუხარო ამბავი, თუ ასე გაგრძელდა. ასაცილებლად იმ შემაძრწუნებელ შედეგისა, ჩვენ მოვიწადინეთ აღვაშენოთ აქ მართლ-მადიდებელთა ეკკლესია. მთავრობამ უყურადღებოდ არ დასტოვა ჩვენი კეთილი დაწყობილება და იმის დახმარებით შევაგროვეთ ორმოც თუმნამდე. ადგილობრივი მემამულენი გვპირდებიან ტყე-მასალას და ასაშენებელ ქვას უსასყიდლოდ, რომლის მოტანა იკისრეს თვით ნემცებმა. ასე, რომ განსახორციელებლად ამ აზრისა, გვჭირდება კიდევ იმოდენი ფული, რაც შეგროვილია აქამად. ეკკლესია იქმნება შინაურის ეკონომიით აშენებული, რომლისათვის კომიტეტმა შეიძინა სამასი თხ.-კ. საჟენი მიწა შუა ახალშენში უმაღლესის მთავრობის ბრძანებით.

ამისათვის, როგორადაც თვით ქართველი ერი, აგრეთვე მთავრობისაგან დადგენილი და დამტკიცებული კომიტეტი იყრის მუხლს გულისა თვისისა და ღმობიერად სთხოვს ყველა ქრისტეს მოყვარე ქართველს, რომელნიც-კი ჩახედულ არიან ბორჩალოელ ქართველთა ერის მწარე ხვედრ ცხოვრებაში, — აღგვიმართონ მკლავი მოწყალებისა და შეგვეწივნენ ღვთის გულისათვის, ვისაც რით შეუძლიან. მათი სახელები იქნება სამუდამო მოსახსენებლად აღბეჭდილი მომავალ ეკკლესიის საკურთხეველსა შინა.

თავმჯდომარე კომიტეტისა, ქვეშის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიის მღვ. სტეფანე ბაიდოშვილი.

კომიტეტის წევრნი:
მკურნალი—ვლ. ინაევი
გამომძიებელი—Мих. Вас. Чиловъ
ბოქ. გიორ. ი. თ. ანდრონიკაშვილი
მწარმ. საქ. ი. ი. თ. ციციშვილი.

ადრესი შემოწირულებათა: *Черезъ Шулаверы, Комитету по постройкѣ Екатериненфельдской православной церкви.*

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи, И. Алхазова	„	30
Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи IV т. Н. Марра	3	“
О грузинскомъ и русскомъ алфавитахъ съ педагогической точки зрѣнія Я. Гогебашвили	„	20
Неестественность „естественнаго“ метода въ дѣлѣ обученія языкамъ Л. Боцвадзе	„	10
Бальваръ и Іодасафъ, А. Хаханова	„	60
Очерки по исторіи грузинской словесности, А. Хаханова в. III	3	„
Замѣтки о городскомъ самоуправленіи на кавказѣ Г. Туманова	„	60
Георгій XII, послѣдній царь Грузіи, Н. Дубровина	1	»
მეცნიერებისათვის წამებულნი, სურათებით, თარგმანი ა. ნიკიტინისა	1	„
ველურობა და განათლება, თარგ. ს. ჯულელისა	„	30
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა თარგმანი ა. ნატ. გიგაურისა	„	50
ბრძნული სიტყვები	„	10
წმიდა აბო ტფილელი	„	30
ლაზარილიო ტორმესელი, ესპანიური მოთხრობა, თარგმ. პ. უმიკაშვილისა	„	10
ტფილისი, მ. ჯანაშვილისა	„	50
თამარიანი, პოემა ს. გუგუნავასი	„	50
ნამყენი ვაზით ვენახის მოშენება ს. ქვარიანისა	„	5
სურამის ციხე, დ. ჭონქაძისა	„	15

ფინანსთა სამინისტროს გამგეობაში მყოფი

საბუხჰალტერო კურსები

ნ. ვ. აბრაამიანისა,

ავტორისა „სავაჭრო, საქარხნო და სანავთ-მრეწველო ბუხგალტერიის სახელმძღვანელოსი“, რომელიც მოწონებულია ფინანსთა სამინისტროს სამოსწავლო განყოფილების მიერ ვითარცა ხელშემწყობი წიგნი საკომერციო სასწავლებლებში სასწავლებლად.

ასწავლის და ამზადებს

ორისავე სქესის ახალგაზდებს პრაქტიკის შემწეობით საბუხგალტერო მუშაობისათვის 4 თვეში, თან ბუღდავანობასაც კისრულობს და, როცა საჭიროა, რეკომენდაციასაც გაუწევს.

ს წ ა ვ ლ ე ბ ი ს ს ა გ ნ ე ბ ი:

1) **ორ-მაგი იტალიური ბუხჰალტერია მრეწველობის ყოველ დარგისათვის, დაწმენდილის ნავთის საქარხნო წარმოებისა და ნავთ-მრეწველობის დარგის გამოუკლებლადაც-კი.** 2) **საკომერციო არითმეტიკა.** 3) **საკომერციო მიწერ-მოწერა** (**კორესპონდენცია**). 4) **სავექსილო და სავაჭრო მართლმსაჯულება.** 5) **კალიგრაფია და გასწორება ხულ ცუდის ხელისაც-კი წერაში.**

მოსწავლენი მიიღებიან ყოველ დღე. სწავლა დაიწყება და იწარმოებს 1902 წლის 15 სექტემბრიდან და ყოველ 4 თვეს შემდეგ კვლავ განახლდება, ყოველდღე, ნასადილევს. ფასი 60 მან. მთლად კურსისათვის. კურსის გათავებისას მოსწავლეს ეძლევა დაწესებული მოწმობა, ნება-დართული წესდებისამებრ ფინანსთა სამინისტროს მიერ. მსურველთ ვსთხოვ მიჰმართონ წერილით ანუ პირადათ კურსების დამაარსებელს ტფილისში, ნიკოლოზის ქუჩა, № 46. პროგრამა უსასყიდლოდ გაეგზავნებათ. ზემოხსენებული სახელმძღვანელო ისყიდება რუსეთის ყველა წიგნის მაღაზიაში. ვინც ავტორისაგან დაიბარებს, ფასდადებისათვის არაფერს იხდის. თითო ეგზემპლიარის ფასია 3 მან. 50 კაპ. (25—379—22)

საბუხგალტერო კლასები

დაარს. ი. ი. ბრონ-ფონ ბრენნერის მიერ.

შარშან **დაამთავრა** კურსი 106 შეგირდმა: 43 ქალმა და 63 ვაჟმა. კლასებთან არის **ბიბლიოთეკა, სასაქონლო-საცეხნოდ, მუზეუმი და ბიურო** პრაქტიკულ მუშაობათათვის.

წელს მოწვეულნი არიან ლექციების საკითხავად საუკეთესო სპეციალისტები, სახელდობრ: ინჟ. მ. ი. **ჩენგერი**, ინჟ. გ. ი. **დიუგოვი**, იურისტი ვ. ა. **მოსკალოვი**, დამსახ. პრ. **ლევიცკი**, მასწავლ. საშუალ. სასწავლ. ე. კ. **ლიოლფენი, ი. ფ. გრუმლიკი**, ს. ე. **კოზლოვი** და სხ.

სავალდებულო საგნები კლასებში:

ბუხგალტერია, საბანკო საქმე, საკომერციო არითმეტიკა, არითმეტიკა საანგარიშოზედ, ტეხნოლოგია, სავაჭრო საქონლის მეტყველება, კორესპონდენცია, კალიგრაფია, ვაჭრობის ცოდნა, სავაჭრო კანონები და მსურველთათვის: უცხო ენები, სტენოგრაფია, ვარჯიშობა მწერალ მაშინაზედ.

კურს-დამთავრებულთ ეძლევათ **ატესტატები** და საუკეთესო შეგირდებს ეძლევათ **ადგილი სამსახურში.**

ფასი მთელის კურსისათვის 60 მან. კურსი თავდება 5-ს თვეში და სწავლა სწარმოებს ყოველ-საღამოს 5-დგან 8 საათამდე. მიიღებიან **ქალნიცა და ვაჟნიცა.**

პროგრამები და წეს-რიგი შეგირდად მიღებისა მსურველს შეუძლიან უსასყიდლოდ მიიღოს კლასების კანცელარიაში, ნიკოლოზის ქ., № 88, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე და საღამოს 5-დგან 8 საათამდე.

სწავლა დაიწყება 10 სექტემბრიდგან. ვაკანსიების რიცხვი განსაზღვრულია. ორი **უსასყიდლო** ვაკანსია თავისუფალია.

დამაარსებელი კლასებისა **ი. ბრონ-ფონ-ბრენნერი.**

ადრესი: მიხეილის პროსპექტი, № 71 15—390—9)

ახალი გამოცემანი

წერა-კითხვის საზოგადოებისა

თავდადებულნი ქართველნი, ისტორიული მოთხრობანი იაკობ გოგებაშვილისა, მეორე სურათებიანი გამოცემა, ფასი შვიდი კაპეიკი. ვინც ათობით იყიდის, წიგნაკი დაეთმობა 6 კაპეიკად, ვინც ოცობით—შაურად.

იავნანამ რა ჰქმნა? მოთხრობა იაკობ გოგებაშვილისა, მესამე სურათებიანი გამოცემა, ფასი ერთი შაური. ვინც ათობით იყიდის, წიგნაკი დაეთმობა 4 კაპ.

(6—5)

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეცხრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, **როგორც ქალებს, ისე ვაჟებს**, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1902—1903 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია**, 2) **საკომერციო არითმეტიკა**, 3) **ბუხჰალტერია** (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით.** 5 **საკომერციო მიწერ-მოწერა**, 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი**, 7) მსწრაფლ-წერა **და წერა-გაკრული და ხნოიანი** (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 16 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 2 სექტემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე გრიდოსოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს **ნ. პ. მანუელიანცს**, ტფილისს.

უფასოთ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსებზე სწავლა ყოველ დღე.

(24—361—18)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 20 Августа 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.